

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

აკადემიური საბჭო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №20

ქ. ბათუმი

17.10. 2011 წელი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის, ესტონელი სტუმრების მიღების, ხარისხის დეპარტამენტის წლიური სამოქმედო გეგმის განხილვის და მიმდინარე საკითხების თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 08 სექტემბრის №762 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდების მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტების, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ფ“ ქვეპუნქტების და აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ოქტომბრის №20 ოქმის საფუძველზე სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის აკადემიურმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. - არჩევნები ცნობილ იქნას ჩატარებულად.
 - ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შერჩეულ იქნას თეიმურაზ ტუკვაძის კანდიდატურა.
 - აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თეიმურაზ ტუკვაძის კანდიდატურა წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
2. დაევალოს აკადემიის საფინანსო სამსახურის უფროსს ბატონ გელა ბაკურიძეს დაადგინოს საქართველო-ესტონეთის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მონაწილე ესტონეთის დელეგაციის ორი წევრის 26-28 ოქტომბერს ბათუმში ვიზიტთან დაკავშირებული გასაწევი ხარჯები.
 - წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.
3. მიღებულ იქნას სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი წლიური სამოქმედო გეგმა (2011-2012 სასწ.წელი).
 - წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.
4. სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორს ნიკოლოზ წიკლაურს ოქტომბრის თვეში გაეცეს პრემია ხელფასის 100 %-ის ოდენობით.
 - წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი -
ბათუმის სახელმწიფო
საზღვაო აკადემიის რექტორი

ნიკოლოზ წიკლაური

აკადემიური საბჭოს მდივანი

ენვერ ხავლოშვილი

